ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. ნინოწმინდა

,,ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და 121-ე მუხლის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2025, 190040000.35.142.016343) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვაან აროიანი**

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	24		
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	**6590**	**4,1**
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	**4980**	**3,1**
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	**4345**	**2,7**
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	**3540**	**2,2**

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	**2**	**3220**	**2,0**
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	**8**	**2570**	**1,6**
2		**საკრებულოს აპარატი**	**5**		
		საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – აპარატის უფროსი**	1	**3680**	**2,3**
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი**	1	**2880**	**1,8**
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **იურიდიულ საკითხებში**	1	**2080**	**1,3**
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **კადრებისა და საქმისწარმოების საკითხებში**	1	**2080**	**1,3**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **საორგანიზაციო საკითხებში**	1	**2080**	**1,3**